## შპს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა "ინტელექტ-პლიუსის" ერთწლიანი (2025 წ. მაისი-2026 წ. აპრილი) სამოქმედო გეგმის ანგარიში

### დამტკიცებულია დირექტორის 2026 წლის 27 აპრილის N2-30/1 ბრძანებით

| სტრატეგიული მიზანი | ამოცანა | აქტივობის აღწერა | განხორციელების პერიოდი | | | | | | | | | | | | შესრულებული (დამდგარი) შედეგები | რესურსი | პასუხისმგებელი პირი/ორგანო | შესრულდა/ნაწილობრივ შესრულდა/არ შესრულდა | შესრულებული სამუშაოების მოკლე აღწერა(შინაარსი) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII | I | II | III | IV | | | | | |
| **სკოლის ინტელექტუალური რესურსის, მათ შორის პედაგოგების პროფესიონალიზმის მზარდი განვითარება** | სკოლის პერსონალისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისათვის აუცილებელი საჭიროებების დადგენა; | პერსონალის განვითარების საჭიროებათა კვლევა | | | | | | * | | | | | | | კვლევის შედეგების გათვალისწინებით შემუშავებული სამოქმედო გეგმა | სკოლის შიდა ინტელექტუალური და ფინანსურ-მატერიალურირესურსი. | სკოლის დირექცია | შესრულდა | 2025-2026 სასწავლო წლის დაწყებისთანავე პედაგოგებმა თვითშეფასების საფუძველზე შეადგინეს პროფესიული განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სადაც თითოეულმა, ძირითადად, სამი გასაუმჯობესებელი საჭიროება გამოყო და მათ მისაღწევად კონკრეტული აქტივობები გაწერა. მასწავლებელთა მიერ მითითებული ეს საჭიროებები საერთო მიმართულებების მიხედვით ერთიან ბლოკებში დაჯგუფდა, ამასთან ზოგად ტენდენციებთან ერთად გეგმებში მკაფიოდ გამოიკვეთა ინდივიდუალური გასავითარებელი მხარეებიც. დაიგეგმა პროფესიული ზრდისთვის ხელშემწყობი ღონისძიებები. ჩატარებული იქნა ადმინისტრაციის წევრების, ტექპერსონალის და სკოლის სხვა თანამშრომლების ანონიმური გამოკითხვები, რომლის მიზანი იყო პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი საჭიროებების იდენტიფიცირება. |
| | მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებების კვლევის საფუძველზე, მათი განვითარებისთვის საჭირო ტრენინგების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა | ტრენინგების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა | | | | | | | * | * | * | * | * | * | მხარდაჭერის ამუშავებული მექანიზმი(მიმდინარეობს მხარდაჭერის პროცესი) | 1.სკოლის ადამიანური რესურსი.<br>2.სკოლის ფინანსური რესურსი.<br>3.მოწვეული სპეციალისტები | სკოლის დირექცია. სკოლის ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი | შესრულდა | პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარდა სამუშაო შეხვედრები, ტრენინგები და კონფერენცია:<br>1.იანვრის თვეში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა/ტრენინგი პირისპირ ფორმატში შეფასების რუბრიკების ვალიდაციისა და შეფასების მნიშვნელობის საკითხებთან დაკავშირებით;<br>2.ნოემბერში მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგი “მასწავლებლის გაძლიერების პროგრამა“;<br>3.მარტში მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგები ხელოვნური ინტელექტის გამოყენებაზე სასწავლო პროცესში;<br>4. მასწავლებლებისთვის ჩატარდა ტრენინგი ინკლიუზიური განათლების შესახებ: ისინი გაეცნენ სასწავლო პროცესში გამოსაყენებელ სტრატეგიებს და მეთოდოლოგიას;<br>5. დირექციის წარმომადგენლებმა გაიარეს ტრენინგი „ხარისხის მართვა და კონტროლი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში. |
| | მაღალი კვალიფიციური კადრების შენარჩუნება და მოზიდვა | საჭიროების მიხედვით, კადრების მოზიდვა ღია კონკურსის მეშვეობით | | | | * | * | * | * | * | * | * | * | * | სკოლის შიდა ხარისხის ზრდადი განვითარების უზრუნველყოფა | სკოლის შიდა მატერიალური რესურსი | სკოლის დირექცია-ადმინისტრაცია | შესრულდა | სკოლას შენარჩუნებული ჰყავს კვალიფიციური კადრები. სკოლამ ღია კონკურსის წესით მიიღო სამი პედაგოგი. |
| | ადგილობრივ დონეზე, კონფერენციებსა და სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებში მასწავლებელთა ჩართულობის ხელშეწყობა. **სკოლის თაოსნობით მსგავსი ღონისძიებების ადგილზე ორგანიზება** | მასწავლებელთა მუდმივი ინფორმირება და წამახალისებელი გარემოს შექმნა ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით; მასწავლებელთა სასკოლო კონფერენციის ორგანიზება საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით | | | | | | | | | | | * | * | მოტივირებული მასწავლებლებისაგან წარმოდგენილი ინიციატივები | სკოლის ინტელექტუალური, ინფრასტრუქტურული და მატერიალური რესურსი | სკოლის დირექცია-ადმინისტრაცია. პედაგოგიური საბჭო, კათედრები | შესრულდა | 1.დაწყებითი კლასის მასწავლებლები დაესწრნენ კონფერენციას თემაზე: “სწავლა და სწავლება დაწყებით საფეხურზე: კვლევებზე დაფუძნებული სტრატეგიები, გამოწვევები და წინსვლის პერსპქტივები“;<br>2. **სკოლის ბაზაზე** წარმატებით გაიმართა სკოლათაშორისი მასწავლებელთა პროფესიული კონფერენცია თემაზე: „მეთოდი მოქმედებაში: თეორიიდან ცოცხალ გაკვეთილამდე“. შეხვედრა მნიშვნელოვანი პლატფორმა გახდა პროფესიული გამოცდილების გაზიარებისა და თანამედროვე სწავლების მეთოდების განხილვისთვის. მონაწილეებმა იმსჯელეს სწავლების ეფექტურ მიდგომებზე, ინტერაქტიულ და ციფრულ ინსტრუმენტებზე, მულტიკულტურულ გარემოში არსებულ გამოწვევებზე და პრაქტიკულ მაგალითებზე, რომლებიც ყოველდღიურ სასწავლო პროცესში გამოყენებადია. კონფერენცია ორი ძირითადი სესიის ფარგლებში წარიმართა და მოიცავდა როგორც ჰუმანიტარულ, ისე STEM მიმართულებებს. კონფერენციის მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები. ღონისძიებამ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი პროფესიული თანამშრომლობის მნიშვნელობას და მასწავლებელთა უწყვეტი განვითარების აუცილებლობას. |
| | მასწავლებელთა კონსულტირება პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე | სამუშაო შეხვედრების ორგანიზება; მასწავლებელთა გამოცდილების გაზიარება- სასკოლო კონფერენციის ორგანიზება; | | * | | | * | * | * | * | * | * | * | * | სასკოლო კონფერენცია | სკოლის შიდა ადამიანური და ფინანსური რესურსი | სკოლის დირექტორი. სკოლის პედაგოგიური საბჭო | შესრულდა | საანგარიშო პერიოდში:<br>სკოლის დირექცია აქტიურად უჭერდა მხარს კოლეგების პროფესიულ განვითარებას. მან მეთოდურ საკითხებზე რამდენიმე საინფორმაციო შეხვედრა ჩაატარა, სადაც პედაგოგებს საგანმანათლებლო სიახლეები, მკაფიო ინსტრუქციები და მეთოდური მასალები გაუზიარა. მუდმივი კონსულტირების პარალელურად, ორმხრივი უკუკავშირის პროცესი უწყვეტად მიმდინარეობდა - დირექტორის მოადგილე გასცემდა პროფესიულ რეკომენდაციებს, კათედრებისგან კი ისმენდა სურვილებსა და წინადადებებს, რომლებიც შემდგომ მუშაობაში სრულად იქნა გათვალისწინებული.<br>სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს პედაგოგთა ხელშეწყობაში. ჯგუფის წევრები კოლეგებს სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და ინდივიდუალური საჭიროებების გამოკვეთაში ეხმარებიან. ისინი რეგულარულად მართავენ წინასაგაკვეთილო შეხვედრებს, ესწრებიან სასწავლო პროცესს და მასწავლებლებს პროფესიული ზრდისთვის საჭირო, კონსტრუქციულ უკუკავშირს აწვდიან.<br>მიმდინარე ვერიფიკაციის პროცესი კი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სწავლა-სწავლების ხარისხის უწყვეტ ამაღლებას. |
| | ინკლუზიური სწავლების მხარდაჭერა, სსსმ მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება და სწავლება | ინდივიდუალური სასწავლო გეგმების დახვეწა; სამუშაო შეხვედრების ორგანიზება ინკლუზიური განათლების საკითხებთან დაკავშირებით; | | | | | | | * | * | * | * | | | სკოლის პედაგოგთა პროფესიული გამოცდილების გაზრდა. მზადყოფნა ინკლუზიური განათლების სერვისის მიწოდების მიზნით | სკოლის შიდა ადამიანური და ფინანსური რესურსი. მოწვეული სპეციალისტი/სხვა ორგანიზაციის წარმომადგენელი | დირექტორის მოადგილე. კათედრები | ნაწილობრივ | ინკლუზიური სწავლების მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით, მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგ კურსი |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სკოლის პერსონალის(მასწავლებელთა გარდა) მომზადება ინკლუზიური განათლების პროცესებში მათი ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით | თანამშრომელთა განვითარებისთვის საჭირო ტრენინგების, სემინარების, სამუშაო შეხვედრების დაგეგმვა და ორგანიზება | | | | | | * | * | | | | | | ინკლუზიური სწავლებისათვის და შესაბამისი მხარდაჭერის აღმოჩენის მიზნით მზადყოფნაში მყოფი სკოლის პერსონალი | მოწვეული სპეციალისტები/ექსპერტები. სკოლის ფინანსური რესურსი | დირექტორი | [illegible] შესრულდა | [illegible] აღნიშნულით - სკოლა გამოხატავს მზაობას სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში, შესთავაზოს მოსწავლეს შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება. |
| | მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარება, რეკომენდაციების შემუშავება სწავლასწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით, მასწავლებელთა [illegible] | კათედრების/მასწავლებელთა საინიციატივო ჯგუფის მიერ შიდა შეხვედრების სისტემატური ორგანიზება, სხვა სკოლების კოლეგა მასწავლებლების მოწვევა, პროფილურ სკოლებთან(ქვეყანაში და მის გარეთ) თანამშრომლობითი სახის [illegible] | | | | | * | * | * | * | * | * | * | * | მიღებული ცოდნის და გამოცდილების დანერგვა სასკოლო ცხოვრებაში | სკოლის შიდა ადამიანური და ფინანსური რესურსი | სკოლის დირექტორი. სკოლის პედაგოგიური საბჭო.ხარისხის განვითარების და მხარდაჭერის ჯგუფი | შესრულდა | პროფესიული დიალოგის გაფართოების მიზნით, სკოლამ ორგანიზება გაუკეთა და ჩაატარა კონფერენცია, რომელზეც საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით მოწვეულნი იყვნენ კოლეგები სხვა სასწავლო დაწესებულებებიდან. რაც შეეხება უშუალოდ სკოლის შიდა სივრცეში გამოცდილების გაცვლას, ეს პროცესი სისტემატურად მიმდინარეობდა კათედრების სხდომებზე, რაც ხორციელდებოდა მასწავლებელთა ურთიერთდასწრებისა და შემდგომი ერთობლივი, კონსტრუქციული განხილვების მეშვეობით |
| | ადამიანური რესურსების შეფასების სისტემის დანერგვა | სკოლის მიერ შემუშავებული პერსონალის შეფასების მექანიზმის ამუშავება | | * | | | * | * | * | * | * | * | | | ხარისხის განვითარების მდგრადობა, შეფასების პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია | | სკოლის დირექტორი. ადმინისტრაცია | შესრულდა | სკოლაში შემუშავდა და დაინერგა ადამიანური რესურსის შეფასების პრონციპები, რაც ასახულია დოკუმენტში ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკა<br>მაგალითისთვის, ვაკანტურ პოზიციაზე კანდიდატი მასწავლებლის შეფასება, მასწავლებლის თვითშეფასება, კათედრის ხელმძღვანელის შეფასების წევრის მიერ, კათედრის ხელმძღვანელის თვითშეფასება, კათედრის მუშაობის მონიტორინგი, დამლაგებლის საქმიანობის შეფასება |
| | ხელოვნური ინტელექტის როლის გაზრდა სკოლის ადამიანური რესურსის განვითარების მიმართულებით | სკოლის კადრების გადამზადება ხელოვნური ინტელექტის სასკოლო ცხოვრებაში გამოყენებისათვის სათანადო ცოდნის და გამოცდილების მიღების მიზნით | | | | | * | * | * | * | * | * | * | * | გადამზადებული კადრები, რომლებიც დაეხმარებიან სკოლის დანარჩენ თანამშრომლებს ხელოვნური ინტელექტის სასკოლო ცხოვრებაში გამოყენების მიმართულებით | სკოლის ბიუჯეტი | სკოლის დირექტორი. დირექცია-ადმინისტრაცია | შესრულდა | სკოლის ყველა მასწავლებელმა გაიარა 2 მიმართულების ტრენინგი - Gamma და Canva AI - ხელოვნური ინტელექტის საკითხებზე |
| **სწავლა-სწავლების შედეგობრივი ხარისხის ამაღლება** | სასწავლო პროცესის მუდმივი მხარდაჭერა და კონტროლი | 1.სასწავლო პროცესის გაუმჯობესების საჭიროებათა კვლევა.2.მხარდაჭერის მექანიზმების შემუშავება და მონიტორინგის ფორმის შერჩევა. | * | * | | | * | * | * | * | | | | | სასწავლო პროცესის წარმართვა გამოვლენილ საჭიროებათა გათვალისწინებით | სკოლის ადამიანური და მატერიალური რესურსი | სკოლის დირექცია და პედაგოგიური საბჭო | შესრულდა | გუგლ-ფორმსის მეშვეობით ჩატრადა გამოკითხვა. მიღებული მონაცემები გახდება საფუძველი მომდევნო სასწავლო წლის სამოქმედო გეგმისთვის. ადმინისტრაციის შესაფასებლად მასწავლებელთა გამოკითხვა - მიზანია დადგინდეს, რამდენად უწყობს ხელს სკოლის მენეჯმენტი მასწავლებლის პროფესიულ ზრდას და ინოვაციების დანერგვას.<br>მოსწავლეების გამოკითხვა მიზანია, სასწავლო პროცესის ეფექტიანობის, ეფექტურობისა და სკოლის მიმღებლობის შეფასება.<br>მშობლების გამოკითხვა მიზანი: მშობელთა პედაგოგიზაციის პროცესის ხელშეწყობა, სკოლა-ოჯახის კომუნიკაციის ანალიზი მათი სასკოლო ცხოვრებაში შესაბამისი და კონსტრუქციული ჩართვისთვის და შვილის პროგრესის აღქმის ანალიზი.<br>მასწავლებლების გამოკითხვა მიზანი: მასწავლებლის რეფლექსია. |
| | საგნობრივ ოლიმპიადებსა და სასწავლო შემოქმედებით კონფერენციებში მონაწილეობის მიღების ხელშეწყობა | ინფორმაციის მოძიება და მოსწავლეებისათვის შეთავაზება. წამახალისებელი გარემოს შექმნა. | | | | | * | * | * | * | * | * | * | * | ოლიმპიადებსა და კონპერენციებში მონაწილეობის ამსახველი მასალების განთავსება სკოლის ელექტრონულ სივრცეში(ვებ.გვერდზე), შიდა საგამოფენო სტენდის მოწყობა | სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ელექტრონული და საბიბლიოთეკო რესურსი | სკოლის დირექცია-ადმინისტრაცია. კლასების დამრიგებლები | შესრულდა | სკოლის ადმინისტრაცია მუდმივად ახდენს შიდასასკოლო და გარე ოლიმპიადებისა თუ კონკურსების შესახებ ინფორმაციის მოძიებასა და მოსწავლეებისათვის ოპერატიულ მიწოდებას. გარდა ამისა, ადმინისტრაცია აქტიურად უჭერს მხარს მოსწავლეებს საორგანიზაციო საკითხებში, უზრუნველყოფს მათ რეგისტრაციას და სრულყოფილად უწევს მენტორულ დახმარებას საგნობრივ შეჯიბრებებში მონაწილეობის მისაღებად. |
| | მოსწავლეებისთვის მრავალფეროვანი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების შეთავაზება | მოსწავლეთა ინტერესის სფეროს კვლევა.კვლევის შედეგების შიდა სასკოლო განხილვა და შეთავაზებისათვის წინადადებათა პაკეტის მომზადება | | * | | | * | | | | | | | | სკოლის არაფორმალური განათლების მიწოდების ბაზის ფორმირება(სერვისის მიწოდების აწყობილი სისტემა) | სკოლის ფინანსურ-მატერიალურ-ტექნიკური რესურსი. | დირექცია.პედაგოგიური საბჭო | შესრულდა | ჩატარდა გამოკითხვა 5-11 კლასებში „ჩემი დამრიგებელი“ რომლის მიზანი იყო მოსწავლეების მიერ დამრიგებლების მუშაობის აღქმის ანალიზი და რეიტინგის შედგენა;<br>ჩატარდა კვლევა „მასწავლებელი მოსწავლის თვალით“, რომლის მიზანი იყო: მასწავლებელთა აღქმის შესწავლა მოსწავლეების მიერ;<br>სწავლების ხარისხითა და კომუნიკაციით კმაყოფილების დონის დადგენა;<br>მასწავლებელთა წარმატების რეიტინგის შედგენა მოსწავლეთა აზრის საფუძველზე;<br>პედაგოგთა ძლიერი მხარეებისა და პროფესიული ზრდის ზონების გამოვლენა;<br>თითოეული კრიტერიუმის მიხედვით საუკეთესო და ყველაზე სუსტი მაჩვენებლების ანალიზი.<br>შემდგომი ნაბიჯი იყო შედეგების გაცნობა პედაგოგებისთვის და მათი შემდგომი პროფესიული განვითარებისთვის რეკომენდაციების შემუშავება. |
| | მოსწავლეთა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრთა გამოკითხვა სასწავლო პროცესთან დაკავშირებით მათი მოსაზრებების, იდეების, საჭიროებების კვლევის მიზნით | გამოკითხვის ფორმატის შეთანხმება და განხორციელებისათვის საჭირო აქტივობების დაგეგმვა | * | | | | | | | | | | | * | სასკოლო საზოგადოების ჩართულობის დამადასტურებელი მონაცემები(ბეჭვდური, ფოტო-ვიდეო და ა.შ) | სკოლის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი. სკოლის ბიუჯეტი | დირექცია-ადმინისტრაცია, მოსწავლეთა თვითმმართველობა | ნაწილობრივ შესრულდა | სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე, მაგრამ პერაგოგების განვითარება ინკლუზიური განათლების მიმართულებით უზრუნველყოფილი იქნა თემატური ტრენინგით, სადაც ისინი გაეცნენ ინკლუზიური განათლების ძირითად ასპექტებს და მეთოდოლოგიას. |
| | ხელოვნური ინტელექტის გამოყენება საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა-წარმართვის ხარისხობრივი მაჩვენებლის ამაღლების მიზნით | კათედრების მხარდაჭერით, მასწავლებელთა მიერ იმ საკლასო აქტივობების შერჩევა/იდენტიფიცირება, რომელშიც მეტად პროდუქტიული იქნება ხელოვნური ინტელექტის გამოყენება | | | | | | * | * | * | | | | | ხელოვნური ინტელექტის დახმარებით შესრულებული საკლასო აქტივობების პროდუქტი(მატერიალური, ელექტრონული და სხვა) | სკოლის ადამიანური რესურსი | დირექცია, სკოლისგან გადამზადებული კვალიფიცირებული კადრები(დანარჩენი ადამიანური რესურსის მხარდასაჭერად),კათედრები. | შესრულდა | კათედრების მხარდაჭერით, მასწავლებლებმა წარმატებით მოახდინეს ხელოვნური ინტელექტის ინტეგრირება სასწავლო რესურსების შექმნის პროცესში. პედაგოგების მიერ მომზადდა ციფრული სამუშაო ფურცლები, სხვადასხვა სირთულის დიფერენცირებული ტესტები, თემატური პრეზენტაციები . AI ინსტრუმენტების გამოყენებამ მნიშვნელოვნად შეამცირა მასალების მომზადების დრო, გაზარდა რესურსების მრავალფეროვნება და უზრუნველყო სწავლების პროცესის მეტი ინდივიდუალიზაცია.<br>მასწავლებლებმა გამოიყენეს ისეთი პლატფორმები, როგორიცაა Canva AI, Gamma და სხვა, რათა შეექმნათ თვალსაჩინოებები: პოსტერები, სამუშაო ფურცლები (Worksheets), ინფოგრაფიკები და/ან მზა სასწავლო პრეზენტაციები. |
| | კათედრების მუშაობის ხელშეწყობა- გაძლიერება | კათედრების მუშაობის ხელშემწყობი გარემოებების იდენტიფიკაცია. მიზნობრივი აქტივობების დანერგვა-განხორციელება | | * | | | * | * | * | | | | | | კათედრების ხელშეწყობის მექანიზმის ამუშავების პროდუქტი, მათი სამოქმედო გეგმების ჩათვლით | პედაგოგიური კოლექტივი, ადმინისტრაცია | პედაგოგიური საბჭო, კათედრები | შესრულდა | უზრუნველყოფილ იქნა კათედრების ეფექტური ფუნქციონირების ხელშემწყობი ფაქტორების (რესურსების ხელმისაწვდომობა, კოლეგიალური მხარდაჭერა, ციფრული ინსტრუმენტები) იდენტიფიცირება. გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე, დაინერგა და განხორციელდა მიზნობრივი აქტივობები, როგორიცაა კათედრათაშორისი ურთიერთდასწრებები, გამოცდილების გაზიარების მიზნით შეხვედრები და ერთობლივი პროექტების დაგეგმვა, რამაც მნიშვნელოვნად გაზარდა გუნდური მუშაობის პროდუქტიულობა. |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სადამრიგებლო პროგრამების განახლება/განვითარება | სადამრიგებლო პროგრამების შემუშავება თითოეული ასაკობრივი ჯგუფის შესაბამისად | | | | | * | * | * | * | * | * | * | * | დამტკიცებული სადამრიგებლო პროგრამები | კათედრები, დამრიგებლები, დირექტორის მოადგილე | დირექცია | შესრულდა | სკოლაში სადამრიგებლო ინსტიტუტი ფუნქციონირებს სისტემურად და გეგმაზომიერად: ყოველწლიურად, კლასის დამრიგებლები, სადამრიგებლო პროგრამის საფუძველზე, ადგენენ წლიურ სამოქმედო გეგმას. აღნიშნული გეგმები მაქსიმალურად ესადაგება როგორც ზოგად სასკოლო პრიორიტეტებს, ისე კონკრეტული კლასის მოსწავლეთა ინტერესებს, ასაკობრივ თავისებურებებსა და საჭიროებებს. |
| | სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისათვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობისათვის ფორმალური ბაზის შექმნა(მოსწავლეთა ინფორმირება და ხელშეწყობა) | სამიზნე ჯგუფების(საბაზო და საშუალო საფეხურზე) ინტერესებისა და შესაძლებლობების კვლევა და შედეგების ანალიზი; სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან და სასწავლო დაწესებულებებთან შეხვედრების ორგანიზება; | | | | | * | * | * | * | * | * | * | * | 1.იდენტიფიცირებულია მოსწავლეებისათვის სასურველი პროფესიები.2. სკოლას აქვს გეგმა მოსწავლეთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობასთან დაკავშირებით | სკოლის შიდა ადამინური და მატერიალური რესურსი | სკოლის დირექტორი | შესრულდა | ამ მიმართულებით ჩატარდა სამიზნე ჯგუფების (საბაზო და საშუალო საფეხურზე) ინტერესებისა და შესაძლებლობების კვლევა და შედეგების ანალიზი. |
| **მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის მიმართულებებში უკეთ გარკვევის მიზნით მამოტივირებელი არაფორმალური განათლების განვითარება** | სასკოლო პროექტების შეთავაზება პროფესიული და არაფორმალური განათლების მიმართულებით, მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფების(საბაზო-საშუალო საფეხური) გათვალისწინებით | სასკოლო პროექტების შემუშავება მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით | | | | | | * | * | * | * | * | * | * | შემუშავებული სასკოლო პროექტები, მოსწავლეთა აქტივობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია(პროექტების პროდუქტი) | კათედრები, დამრიგებლები, დირექტორის მოადგილე | დირექტორის მოადგილე | შესრულდა | სასკოლო პროექტის - „ფინანსური წიგნიერება“ - ფარგლებში, 1 წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა მუშაობა მოსწავლეთა ეკონომიკური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე. პროექტის მიზანს წარმოადგენდა მოზარდებში ფინანსური ცნობიერების ამაღლება, პირადი ბიუჯეტისადმი პასუხისმგებლიანი დამოკიდებულების განვითარება და ყოველდღიურ ცხოვრებაში ეფექტური ფინანსური ქცევის უნარ-ჩვევების ხელშეწყობა. |
| | წლიური სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება მოსწავლეთა პროფესიული განათლების განვითარებისათვის საჭირო აქტივობების გათვალისწინებით | სასკოლო კურიკულუმების შედგენისას მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის საკითხების გათვალისწინება | | | | | * | | | | | | | | მოსწავლეთა პროფესიულ განათლებას მორგებული სასკოლო კურიკულუმები | სკოლის ინტელექტუალური რესურსი | სკოლის პედაგოგიური საბჭო, კათედრები, საგნის მასწავლებელი | შესრულდა | მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მიზნით, სასწავლო წლის განმავლობაში სკოლაში კომპლექსური მუშაობა მიმდინარეობდა. სკოლის ფსიქოლოგის მიერ რეგულარულად ტარდებოდა პროფორიენტაციული გაკვეთილები, პარალელურად კი, კლასის დამრიგებლები წინასწარ გაწერილი გეგმის მიხედვით აქტიურად მუშაობდნენ ამ მიმართულებით.<br>თეორიული ცოდნის გასამყარებლად მოეწყო შემეცნებით-გასვლითი ექსკურსიები სხვადასხვა დაწესებულებაში, მათ შორის სახანძრო-სამაშველო სამსახურსა და სტომატოლოგიურ კლინიკაში. პროფესიების უკეთ გასაცნობად, სკოლაში მოწვეულნი იყვნენ სხვადასხვა სფეროს სპეციალისტები. აღსანიშნავია მშობელთა აქტიური ჩართულობა, რომლებიც თავად ესტუმრნენ მოსწავლეებს, ჩაატარეს საინტერესო ლექციები, გაუზიარეს საკუთარი პროფესიული გამოცდილება და დაეხმარნენ მათ მომავლის სწორად დაგეგმვაში. |
| | **მემორანდუმების გაფორმება პროფესიულ - საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.** | მოსწავლეთა ინტერესების სფეროების გათვალისწინებით, შესაბამისი პროფესიული სასწავლებლების მოძებნა და მათთან თანამშრომლობის მიზნით მემორანდუმების გაფორმება | | | | | * | * | * | | | | | | გაფორმებული მეომორანდუმები და მათ საფუძველზე განხორციელებული აქტივობების დამადასტურებელი მასალები | სკოლის ადამიანური რესურსი | სკოლის დირექტორი | შესრულდა | 2025 წლის 18 ნოემბერს გაფორმდა მემორანდუმი კოლეჯ „სპექტრთან“, რომლის მიზანია მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის, კარიერული განათლებისა და პრაქტიკული უნარების განვითარების მხარდაჭერა. |
| | სკოლის ტექნოლოგ იური ბაზის სრული გადაიარაღება(სამუშაოთა დაწყება) | ტექნოლოგიური ბაზის გაძლიერების საჭიროებების დადგენა, დაგეგმვა, შესაბამისი შესყიდვების განხორციელება | | | * | * | | | | | | | | | სამუშაო პროცესი თანამედროვე სტანდარტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნისათვის | სკოლის ბიუჯეტი | სკოლის დირექტორი. დირექტორის მოადგილე ფინანსურ საკითხებში | შესრულდა | სკოლამ შეიძინა საბუნებისმეტყველო საგნობრივი მიმართულების ლაბორატორიებისათვის შესაბამისი ხარჯვადი რესურსები, რამაც უზრუნველყო სასწავლო პროცესში ლაბორატორიის სრულყოფილად გამოყენების შესაძლებლობა. |
| **სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვა** | სასკოლო ინვენტარის განახლება-შეძენა | სასკოლო ინვენტარის ვარგისიანობის გადამოწმება, მოძველებული და ამორტიზებული ინვენტარის ჩამოწერა. გახალი ინვენტარის სახეობებისა და ოდენობის დადგენა | | * | * | * | | | | | | | | | თანამედროვე დიზაინის სასკოლო ინვენტარით აღჭურვილი სკოლა(დაწყებული სამუშაო პროცესი) | სკოლის ადამიანური რესურსი და ბიუჯეტი | სკოლის დირექცია-ადმინისტრაცია | შესრულდა | საანგარიშო პერიოდში სკოლის მატერიალური რესურსების ოპტიმიზაციისა და კონტროლის მიზნით, განხორციელდა ქონების სრული ინვენტარიზაცია. სპეციალურად შექმნილი კომისიის მიერ სრულად აღიწერა სკოლის შენობასა და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მატერიალური ფასეულობები. |
| | საბუნებისმეტყველო საგნობრივი ჯგუფის ლაბორატორიების (ფიზიკა-ქიმია-ბიოლოგია) შეძენა და ლაბორატორიისათ-ვის საჭირო ფართის რეაბილიტაცია | ფიზიკა-ქიმია-ბიოლოგიის ლაბორატორიის ამჟამად არსებული რესურსის ინვენტარიზაცია და მორალურად მოძველებული აღჭურვილობის ახლით ჩანაცვლება. სმარტბორდებისა და ვირტუალური ლაბორატორიის შეძენა | | | | | | | | | | | * | * | თანამედროვე სახის, გამართული ლაბორატორიის ქონა სკოლაში | სკოლის ბიუჯეტი | სკოლის დირექტორი. საბუნებისმეტყველო საგნობრივი კათედრა | ნაწილობრივ სესრულ | საანგარიშო პერიოდში სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში განხორციელდა არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსების სრული ინვენტარიზაცია. პროცესის ფარგლებში დეტალურად შემოწმდა სასწავლო ინვენტარი და მოქმედი წესების შესაბამისად მოხდა მოძველებული, ამორტიზებული აღჭურვილობის ჩამოწერა. პარალელურად, სასწავლო პროცესის თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობისა და ინოვაციური მიდგომების დანერგვის მიზნით, ამჟამად მიმდინარეობს აქტიური მოლაპარაკებები ვირტუალური ლაბორატორიის შესაძენად. აღნიშნული ციფრული რესურსი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პრაქტიკული და საექსპერიმენტო სწავლების ხარისხის ამაღლებას. |
| | სკოლის ინფრასტრუქ ტურის სრული რეაბილიტაცია(2025-26წ.წ. სამოქმედო გეგმის ფარგლებში) | სკოლის შენობის შიდა ინტერიერის ეტაპობრივი რეაბილიტაცია (სამივე სართულის მასშტაბით) | | | * | * | * | | | | | | | | განხორციელებული სარეაბილიტაციო სამუშაოები(სამუშაო პროცესის დასაწყისი) | სკოლის ბიუჯეტი | სკოლის დირექტორი.ადმინისტრაცია | შესრულდა | სკოლის შენობის მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა კოსმეტიკური რემონტის საჭიროების მქონე საკლასო ოთახები. საანგარიშო პერიოდში აღნიშნულ ოთახებს ჩაუტარდა გეგმური რეაბილიტაცია, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის უსაფრთხო, ესთეტიკური და კომფორტული სასწავლო გარემოს შექმნას. |
| | სსსმ მოსწავლის/მოსწავლეებისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნა | | * | * | * | * | | | | | | | | | სკოლაში ფუნქციონირებს ადაპტირებული სველი წერტილი და კეთილმოწყობილი რესურსოთახი | სკოლის ბიუჯეტი | სკოლის დირექტორი.ადმინისტრაცია | შესრულდა | სკოლას აქვს სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის განკუთვნილი ადაპტირებული სველი წერტილი,ინკლუზიური სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით, რესურს-ოთახის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა განახლდა და მას დაემატა სპეციალიზებული, სასწავლო პროცესის მხარდამჭერი დამატებითი ინვენტარი. |
| | სამედიცინო კაბინეტის პერიოდული შევსება პირველადი დახმარებისა თვის აუცილებელი პრეპარატები თა და ინვენტარით | სამედიცინო კაბინეტის საჭიროებათა დადგენა შესაბამისი ინვენტარის და პირველადი საშუალებების შეძენის მიზნით | | * | * | * | * | | | | | | | | სკოლაში ფუნქციონირებს სრულად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი | სკოლის ბიუჯეტი | სკოლის დირექტორი | შესრულდა | მოსწავლეთა და პერსონალის ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა სასკოლო სამედიცინო კაბინეტის პერიოდული შევსება. კაბინეტი სრულად იქნა მომარაგებული პირველადი გადაუდებელი დახმარებისთვის აუცილებელი მედიკამენტებით, პირველადი სამედიცინო დანიშნულების პრეპარატებითა და შესაბამისი ინვენტარით. |
| | სასწავლო რესურსებისა და საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის განახლება და შევსება | 1. ბიბლიოთეკის აღჭურვა სასკოლო(გრიფირებული) სახელმძღვანელოებით და ელ.რესურსით.<br>2. თანამედროვე მხატვრული ლიტერატურის შეძენა და ფონდის განახლება | | * | * | * | * | * | * | * | * | * | * | * | სრულად აღჭურვილი ბიბლიოთეკა(განახლებული წიგნადი ფონდი, კეთილმოწყობილი გარემო) | სკოლის ბიუჯეტი | სკოლის დირექტორი, ბიბლიოთეკარი, კათედრები | შესრულდა | სასწავლო საჭიროებების გათვალისწინებით, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეივსო ახალი სასწავლო სახელმძღვანელოებითა და მხატვრული ლიტერატურით როგორც ქართულ, ისე რუსულ ენებზე. პარალელურად, საბიბლიოთეკო მომსახურების გაუმჯობესებისა და აღრიცხვიანობის გაციფრულების მიზნით, წარმატებით დაინერგა ბიბლიოთეკის მართვის ინტეგრირებული ავტომატიზებული პროგრამა OpenBiblio. აღნიშნული სისტემა უზრუნველყოფს ელექტრონული კატალოგის შექმნასა და წიგნების გაცემა-დაბრუნების პროცესის ეფექტურ კონტროლს. |

| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საკლასო ოთახების თვალსაჩინოე ბითა და სხვა საჭირო ინვენტარით აღჭურვა, საგანმანათლე ბლო ელექტრონუ ლი რესურსების მოძიება/გამო ყენება | კათედრების მიერ, საგნების სწავლებასთან დაკავშირებული თვალსაჩინოებების და სხვა რესურსების საჭიროებათა ოდენობისა და სახეობების თაობაზე  მონაცემების წარმოდგენა | | * | * | * | * | | | | | | | | თვალსაჩინოებებითა და ელ.რესურსით აღჭურვილი საკლასო კაბინეტები | სკოლის ბიუჯეტი | სკოლის დირექტორი, პედაგოგიური საბჭო,კათედრები | შესრულდა | სასწავლო პროცესის გაციფრულებისა და თვალსაჩინოების ამაღლების მიზნით, სკოლის ყველა საკლასო ოთახი სრულად აღიჭურვა პროექტორებით. აღნიშნული ტექნოლოგიური ბაზა პედაგოგებს აძლევს შესაძლებლობას, ეფექტიანად გამოიყენონ გაკვეთილებზე საკუთარი ძალისხმევით შექმნილი როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახის თვალსაჩინოებები და საგანმანათლებლო რესურსები, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მოსწავლეთა ჩართულობასა და სწავლების ხარისხს. |